ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური

მე-10 კლასი

I სავარჯიშო: კვეცად და უკვეცელ სახელთა ბრუნება,თანდებული, თანდებულიანი ბრუნვები. კუმშვად -კვეცადი სახელები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

1. რომელია კვეცადი სახელი?
   ა) რუ ბ) უთო გ) მეგაღე
2. კვეცა ხდება?
   ა) მხოლობითი რიცხვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში;
   ბ)მხოლობითი რიცხვის მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში;
   გ) მხოლობითი რიცხვის ნათესაობით და მოთხრობით ბრუნვებში;
3. ჩამოთვლილთაგან რომელ სიტყვაში ხდება ერთდროულად კუმშვა და კვეცა?
   ა) მდინარე ბ) ბეგარა გ) ზვარი
4. რომელი სიტყვის ფუძეა კუმშვად-კვეცადი?
   ა) სასმელი ბ) ღვინო გ) ქარხანა
5. რომელ წინადადებაშია გამოყენებული კვეცადი სახელი?
   ა) მთაში წყაროს წავაწყდი.
   ბ) კოღომ ლომი საომრად გამოიწვია.
   გ) დაწყნარებული ზღვა საოცარი სანახავია.
6. რამდენ ბრუნვას დაერთვის თანდებული?
   ა) შვიდს ბ) ხუთს გ) ექვსს
7. რომელი თანდებული არის ნათესაობითი ბრუნვის?
   ა) ვით ბ) ზე გ) თვის
8. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი ფორმა?
   ა) მჭვარტლიდან ბ) სიცივისგან გ) მაღაზიასთან
9. ჩამოთვლილთაგან რომელი თანდებულიანი არსებითი სახელია სახელობით ბრუნვაში?
   ა) ქალსავით ბ) მეგობარივით გ) აივანზე
10. ჩამოთვლილთაგან რომელი თანდებულიანი არსებითი სახელია ვითარებით ბრუნვაში?
    ა) ჭიშკრამდის ბ) ბალიშში გ) მეზობლისთვის

II სავარჯიშო: სერიები და მწკრივები.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

11. რომელ სერიაშია ზმნა ,,დახვეწა“?
    ა) მე-2 სერიაში ბ) პირველ სერიაში გ) მესამე სერიაში
12. რომელ მწკრივშია ზმნა გაუკეთებია?
    ა) აწმყოში ბ) 1-ლ თურმეობითში გ) მყოფადში
13. რომელი მწკრივის კითხვებია: რას ვშვრებოდი? რას შვრებოდი? რას შვრებოდა?
    ა) წყვეტილის ბ) მყოფადის გ) უწყვეტლის
14. რომელია ხოლმეობითის მწკრივის ფორმა?
    ა) ვიმღერებ ბ) ვიმღერებდი გ) ვიმღერებდე
15. რომელი მწკრივის ფორმაა შემეჭამა?
    ა) მე-2 თურმეობითის; ბ) I თურმეობითის; გ) III კავშირებითის;

III სავარჯიშო: სინტაქსი. წინადადების წევრები;
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

16. ჩამოთვლილთაგან რომელია წინადადების არამთავარი წევრები?
    ა) ქვემდებარე, უბ. დამატება, განსაზღვრება;

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

ბ) უბრალო დამატება, განსაზღვრება, გარემოება
გ) შემასმენელი, პირ.დამატება, გარემოება;

17. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა?
„ ღმერთო, მომეცი ძალა და გონება!?
ა) განსაზღვრება ბ) ქვემდებარე გ) შემასმენელი

18. რომელია გარემოება?
„ ეკლესიიდან ზარების რეკვა ისმის.“
ა) ისმის ბ) ეკლესიიდან გ) რეკვა

19. წინადადების რომელი წევრია ხაზგასმული სიტყვა?
„დილის ნისლი თანდათან იფანტებოდა.“
ა) ქვემდებარე ; ბ) განსაზღვრება; გ) უბ.დამატება;

20. წინადადების რომელი წევრია ხაზგასმული სიტყვა?
„ნიკო საღამომდე სახლში ტრიალებდა.“
ა) განსაზღვრება; ბ) დროის გარემოება; გ) შემასმენელი;